ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4569253

ნომერი: AR1689418

თარიღი : 21.06.2019

გაცემის თარიღი : 01.07.2019

გაცნობის თარიღი : 02.07.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 50-52;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ტურძელაძე პ/ნ 61001058093
- ქობულეთი 9 აპრილის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ორიონო" (რეაბილიტაციის მმართველი შპს "eurocon" 404908481)
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 200173169
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლევან აფციაური
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01019000173

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4536044
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 7.06.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. განმცხადებლის უფლებამოსილება არ დგინდება. წარმოდგენილი მინდობილობით უფლებამოსილება ენიჭება შპს იქსორს, თუმცა, იმის დამადასტურებელი დოკუმენტი რომ ლევან ტურძელაძე არის შპს იქსორის წარმომადგენელი, არ არის ატვირთული. რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილებების დასადგენად საჭიროა წარმოდგენილი იქნას რეაბილიტაციის მმართველსა და კრედიტორებს შორის დადებული ხელშეკრულება. საჭიროა წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულება უძრავი ქონების პირობადადებულ საკუთრებაში გადაცემისა და ნარდობის შესახებ , რეესტრის ნომერი N14245, დამოწმების თარიღი26/07/2007, ნოტარიუსი ს. მუმლაძე და საჭიროების შემთხვევაში ი.მ.ა "აკ.წერეთლის გამზირი N50-52-ის" სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და მის საფუძველზე უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი/გაცემული თანხმობა. საჭიროა წარმოდგენილი იქნას საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული ყადაღის/აკრძალვის საფუძვლები სრულად და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პირის/ორგანოს თანხმობა.

02. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი:
მშენებლობის ნებართვას ვადა აქვს გასული, აქედან გამომდინარე გადაიხადეთ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი, შეთანხმებული პროექტის კ2 კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობის ოთხმაგი ოდენობით.

03. საინფორმაციო დაფა - ბანერი. -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.:
წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან.
საინფორმაციო დაფა განთავსებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57 დადგენილების 40-ე მუხლის 2-ე ქვეპუნქტის შესაბამისად გაპის სტადიაზე მოწყობილ არსებულ დაფაზე დამატებით უნდა განთავსდეს სამშენებლოდ დამტკიცებული მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ასახული ინფორმაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნებართვის მაძიებლის მიერ მოწყობილი ბანერი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- შენობა-ნაგებობის მისამართი;
- შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
- მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო
- განაცხადის განხილვის ვადები (სარეკომენდაციოთ გაცნობებთ: მიუთითეთ ატვირთვის თარიღი და - კანონით დადგენილი განხილვის ვადა);
- შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.
თქვენ მიერ წარმოდგენილი ბანერი არ შეიცავს კანონმდებლობით დადგენილ ყველა აუცილებელ და ასევე დასაშვებ ინფორმაციას.

04. მიუთითეთ მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები. 01/938 20.07.2009 (2585 06.07.2011)

05. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.::
წარმოდგენილი დოკუმენტი ვერ ჩაითვლება მისაღებად, რადგან მასში არ არის მითითებული- -ქანების მიმართების

აზიმუტი; -ქანების დახრის კუთხე, -ხომ არ არის ქანების მოცურების საფრთხე, - ხომ არ აღინიშნება ან ხომ არ არის საფრთხე არახელსაყრელი გეოლოგიური მოვლენების განვითარების (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვ.).

06. არსებობის შემთხვევაში კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათის ველში წარმოდგენილ იქნეს შემდგომი დოკუმენტაცია ერთიანად:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის გაცემული ბრძანება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურიდან სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება.
- განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.